| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1891



## ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა

სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

**სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**


**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობლად** უმორჩილესად ვაცხადებ, რომ წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ოც-და თექვსმეტი (36) თავისუფალი ადგილია, მეორეში-თხუთმეტი (15), მესამეში (10) ათი და მეოთხეში თორმეტი (12). პირველს განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, რადგანაც ან-ბანის უმეცარნიც მიიღებიან, ხოლო ვისაც შემდეგს განყოფილებაში ჰსურს შესვლა, იმათ შესაფერ განყოფილების პროგრამის ეგზამენი უნდა დაიჭირონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნას მოწმობა აზნაურობისა, ანუ ბარათი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება.

თხოვნის მიღება დაიწყება 25 აგვისტოდამ და 30-მდე გასტანს დაბა ძველს სენაკში სკოლის ინსპექტორის სახელობაზე. (7—5)

სკოლის ინსპ. სამსონ გ. ყიფიანი.

**ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობა საყოველთაოდ** აცხადებს, რომ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პალლადის მიერ ნებადართვით, ამ სასწავლებლის შენობის დაუმთავრებლობისა გამო, მისაღები ეგზამენები დაიწყება 6 ენკენისთთვეს და სწავლა-კი 10-ს; ამიტომ მოწაფენი უნდა გამოცხადდნენ: ვისაც ხელ-ახლა ეგზამენი აქვს, ან ვისაც ჰსურს ახლად შემოსვლა ამ სასწავლებელში 6-ს ენკენისთთვეს, ხოლო დანარჩენნი—10-ს.

(3—107—3)

## ახალი ამბავი

*** შაბათ ღამეს, ამ თთვის 17, ტფილისში გარდაიცვალა კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი მღვდელი დეკანოზი მამა სტეფანე იოანესძე გუმილევსკი. განსვენებული მოხუცებულებაში იყო —85 წლისა—და თავის ხანგრძლივ სიცოცხლის განმავლობაში დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა თავის სამწყსოსი. მამა გუმილევსკი წმ. ნიკოლოზის სამხედრო საკრებულო ტაძრის წინამძღვრად და უწმ. სინოდის საქართველოს კანტორის წევრადაც ირიცხებოდა.

*** უკვე გამოვიდა „ქართველთა წიგნის გამომცემელ ამხანაგობისაგან“ გამოცემული ა. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) თხზულებანი, სამი წიგნი. სამივე სუფთად და ლამაზად არის დაბეჭდილი და თითოეული ჰღირს მშვენიერის ყდით ორი მანეთი და ათი შაური, ხოლო სამივე ერთად 7 „მან. ამხანაგობას“ ცოტა უფრო მდარე ქაღალდზედ გამოცემულიცა აქვს და ამ გამომცემის თითოეულის წიგნის ფასი 1 მ. 20 კაპეიკია. პირველს წიგნს წინ უძღვის ავტორის სურათი ავტორისავე ფაქსიმილეთი, შიგ მოთავსებულია „ელგუჯა“, „ციკო“ და „ელისო“ და სულ 389 გვერდს შეიცავს. მეორე წიგნში მოთავსებულია „მამის-მკვლელი“ და „განკიცხული“ და შეიცავს 530 გვ. მესამე წიგნში მოთავსებულია „მოძღვარი“ და „ცაცია“ და შეიცავს 473 გვ. რაღა თქმა უნდა, ეს თხზულებანი საკმაოდ ძვირფასს განძს შეადგენს ქართულის ბიბლიოთეკისას და სასურველია, რომ ა. ყაზბეგის დანარჩენი ნაწერებიც ასევე ლამაზად იქმნას გამოცემული.

*** ზ. ჭიჭინაძეს შეუკრებია არაბულს-ქართულს ენაზე შედგენილი ქართველ მაჰმადიანთ საყოველთაო ლოცვები.

*** ჩვენს ქალაქში ჩამოსული იყო და აქედამ შაბათ ღამეს ბაქოს გაემგზავრა ამერიკელი ნავთის მოვაჭრე ბ-ნი ჰენრი შელლეი, რომელიც ბაქოს ნავთის წყაროების ვითარების შესატყობად დამოგზაურობს ჩვენში.

*** ტფილისის ბაზარ-ქუჩებში, მეტადრე თათრის მეიდანსა და შუა-ბაზარში, ხშირად შეჰხვდება კაცი ერთს დამბლა-დაცემულს და სულით ავადმყოფს ახალ-გაზდა ქალს. უპატრონოს და დაუძლურებულს არსებას ხშირად მისდის გული, დაეცემა ქუჩაში და საცოდავად გააქვს კივილი.

ჩვეულებისამებრ, ამ დღეებშიაც ჩამოიარა შუა-ბაზარში ამ ადგილების ხშირმა სტუმარმა, ჩამოიარა და ერთბაშად თავისმა სატკივარმა მოუარა: დავარდა შუა ქუჩაში და საცოდავად დაიწყო ფეხებისა და თავ-პირის ცემა ქვებზე. თუ არა ვაჭრები, უიმისოდაც დასახიჩრებულს საცოდავს სულით ავადმყოფს ეტლი გაიტანდა. „რაც უნდა გულ-ქვა ადამიანი იყოსო, გვწერს შუა-ბაზრის ერთ-ერთი ვაქარი: ამ საცოდავს რომ შეჰხედოს, სიბრალულით გული მოუკვდება. საწყალს დღეში ბევჯელ სამ-ოთხჯერ მისდის გული, მიწაზე ეცემა, კივის და წივის“,

ურიგო არ იქნება, ვისიც ჯერ არს, ამ საცოდავს თავ-შესაფარი აღმოუჩინოს.

*** საცოდავი სანახავი იყო, კვირას, 18 ამ თთვეს, საღამოს რვა საათზედ, ერთი ყმაწვილი კაცი, რომელსაც დაჰსეოდნენ ცხენის რკინის გზის კონდუქტორები და მეეტლეები და უმოწყალოდ სცემდნენ. ჩვენ სწორედ იმ დროს წავაწყდით ამ ამბავს, როცა ცემა-ტყეპა გაცხარებული იყო და აი რა ამბავი გვიამბეს. ეს ყმაწვილი კაცი მუშტაიდის ბაღიდამ წამოსულა. ვაგონში, ახალის განკარგულების ძალით, უკანა ბაქანზედ ოთხის კაცის მეტი ვერ დადგება. იმისთვის კონდუქტორს ბილეთი მიუყიდნია, თუმცა მეხუთე-კი ყოფილა. ბოლოს კონტროლერს ჩამოსვლა უთხოვნია. იმას უთქვამს, ფული მომეცით და ჩავალო. ეძგერნენ თურმე და ძალით დაუპირეს ძირს ჩამოთრევა. ისიც გაჯიუტდა და ამას მოჰყვა ის აყალ-მაყალი, რომელსაც ჩვენ წავაწყდით. ამ დროს მოვიდა მეორე ვაგონიცა, რომელმაც ვერ გატაანა შეგროვილს ხალხს, იქიდგან არც აილო და არც დაილო, მეეტლე საჩქაროდ ძირს ჩამოხტა და საქმის დაუკითხავად სწორედ იმას ეცა, ვისაც ეწეოდნენ, მით უფრო, რომ „ნაჩალსტვო“ თვითონ ერია საქმეში და ეწეოდა კაცს. ამ უშველებელმა კაცმა საჩქაროდ ძირს ჩამოაგდო ყმაწვილი კაცი, რამდენჯერმე თავ-პირში დაუშინა, გასწია თავისს ვაგონში და მუშტაიდისაკენ გაეშურა.

ნაცემმა მაინც თავი არ დაანება

## ფელეტონი

**რჩა-წითელი**

(კომედია ერთ მოქმედებად)

ფრანგულიდგან გადმოკეთებული

(იხ. „ივერია“ № 174)

სცენა XIII

იგინივე და ლეო

ლეო. (შემოვა თუ არა) მე მეძახოდით? (დაინახავს არშაკას) აა, თქვენც აქა ჰბძანდებით! გამარჯობა თქვენი!

არშაკა. ზრასტი ბირატ!.. როგორა ბძანდები?

გიქუა. (თავისთვის) ესენი ძალიან მეგობრულად შეჰხვდნენ ერთმანეთს! მაგრამ სულ ერთია... ჯანი გაჰვარდეს, ორთავ ერთათ მოველაპარაკები, მეტი ღონე არ არის. (ხმა მაღლა) ყმაწვილებო, ჩვენ საქმეზე ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება... (ლეოს) უკაცრაოთ-კი არ ვიყო, და თავი ღვინის ოთახში გაანთეთ სანთელი თუ არა?

ლეო. დიახ, დიახ! როგორ არა, გავანთე...

გიქუა (განაგრძობს) ჰო, საქმეს ეხლავ გავათავებთ, თუმცა-კი ქალის გათხოვება ადვილი არ არის... ორ ახალგაზდა კაცს გადაგიწყვეტიათ შეირთოთ ჩემი ქალი... ძალიან კარგი!.. მე, როგორც მამა, მოვალე ვარ ორივეს გაგისინჯოთ კბილები... გეტყობათ, ორივ კაი კაცები ხართ. ერთი ჩემი რჯულის ყმაწვილია, საქმეზე დგას, გამიგია, რომ საკუთარი მაღაზიაცა აქვსო ბაზაზხანაში... ჩინებულია, სწორეთ... მეორე თუშია და დარბაისელ ქართველსაცა ჰგავს. ამბობენ, შეძლებაც კარგა ბლომადა აქვსო. უფრო ჩინებული... ამიტომ მე ორივენი უნდა აგიღოთ, დაგიღოთ, თქვენი ავიც შევიტყო, კარგიცა და მერე... მერე საქმე თავისთავად გადასწყდება, რომელს ერგება ჩემი ქალი. დაბძანდით, გეთაყვა, და ისე ვილაპარაკოთ. (სამნივ დასხდებიან. გიქუა მათ შუაშია).

არშაკა. ხომ არ გეწყინებათ, პაპიროსმა მინდა მოვწიო?

გიქუა. გეთაყვა, მოსწიეთ... ჰო, წეღანაცა ვთქვი, რომ რამდენიმე საჩოთირო სიტყვა უნდა გკითხოთ-მეთქი... მე იმავე თავით სულ იმ აზრს ვადექ, რომ ჩამომავლობისთვის, შვილებისთვის... ერთი სიტყვით, ვინც შვილიერებას მოეკიდება, ჯერ პირველათ ის უნდა ახსოვდეს, რომ იყოს ჯან-მრთელი, მაგარი აგებულებისა... ამას გარდა თვით დედ-მამაც ჯან-მრთელი უნდა ჰყავნდეს. მე, სწორე გითხრათ, ჩემის ქალისთვის არ დავიშურებ ხუთიათას თუმანსაც-კი, ოღონდ სიძე ისეთი საღი და ჯანიანი შემხვდეს, რომ სულ რკინასა ჰკვნეტავდეს.

არშაკა. Позволте закуриватъ ешчо папыроска.

გიქუა. ინებეთ, გეთაყვა, ინებეთ. (არშაკას) აბა უტყუვრათ მითხარით, ჯანზე როგორა ხართ? ხომ არას იტკივებთ? ზადი ხომ არა გაქვსთ-რა?

არშაკა. Очинъ благодару. ми здаровъ. თქვენ ხომ კარგათა ხართ?

გიქუა. გეთაყვა არ-კი გეწყინოთ, და თქვენი ფერი როგორღაც ვერ მომწონს... თითქო უფრო მოშავოაო, მაგრამ თან ყვითელიც არის, შავყვითელიო...

არშაკა. ეგ იმისგნით, რომ ყარაბაღში ძალიანა ცხელა.

გიქუა. ძალიან კარგი. ვთქვათ, მაგის ბრალია. მაგრამ ახლა ისიც უნდა ვიცოდეთ, თქვენს დედ-მამას, პაპასა და ბებიას ხომ არა ჰქონიათ-რა... ჰო, ისეთი სენი ხომ არა ჰჭირებიათ, რომელიც საშვილიშვილოთ გადადის... ვთქვათ, ან სოკო, ან სიჭლექე, ან კუ და სხვა გადამდები ავათმყოფობა?...

არშაკა. Я пачомъ знаю!.. მაგრამ არა... კარგა ყოფილან ყველანი!...

გიქუა. ან ქარები ხომ არა ჰქონიათ მუხლებში, ან გულის ფრიალი?...

არშაკა. რის ქარებმა?!.. არა, მეთქი!

გიქუა. (ლეოს) აბა, თქვენ რაღას იტყვით, ყმაწვილო?

ლეო. (წამოდგება და გაიმართება წელში) უკაცრაოთ, ბატონო ჩემო, მე თუში გახლავართ!...

გიქუა. (სიამოვნებით, ფიცხლავ) თუში... თუში!... კმარა, კმარა, ყმაწვილო. თუშები ხომ ჯანიანი ხალხია!.. დაბძანდით, გეთაყვა, ნულარ ირჯებით!... ვინ არ იცის, რომ თუში დათვსაც-კი შეეჭიდება ხოლმე უიარაღოთ, ხელდახელ!.. თუში კაი მარჯვენის ხალხია!.. დაბძანდით...

არშაკა. Позволтъ минэ третяго папыроска закуриватъ!..

გიქუა. (არშაკას) ყმაწვილო კაცო, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ ძლიერ ბევრს ეწევით... ეგ არ ვარგა... გულისყურსართმევს კაცსა.

არშაკა. Ничего... თქვენ მაგის დარდმა ნუ გასწევთ!..

გიქუა. არ იცით, თორემ მაგას არ იტყოდით. გნებავთ, ეხლავ გამოგცდით, და თქვენა ჰნახავთ, ყარაბაღელო ახალგაზდავ, რომ გულისყურზე უკაცრაოთა, ე. ი. სუსტათა ჰბძანდებით... აი თუნდა!.. აბა გვითხარით, რომელ წელიწადს გარდაიცვალა ჩვენი დიდი ლორის-მელიქოვი?

არშაკა. (შეკრთება) რომელ წელიწადსა-და, სწორედ 1885 გოდში...

გიქუა. ჰოდა, აკი მოგახსენეთ, ძლიერ ბევრს პაპიროზს ეწევით-მეთქი... (უღიმის არშაკასა და ძალიან პატივისცემით) თუ შეიძლებოდეს, მიბძანეთ, გეთაყვა, რა ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა მამა თქვენი?

არშაკა. ვა, მამაჩემი?.. იმან არ მამკვდარა!.. იმან ჯერ ისევ ცოცხალია!..

გიქუა. ეგ-კი მეწყინა... ძლიერ მეწყინა, რომ გარდაცვლილიყო, სნეულობას მაინც შევიტყობდით. (უფრო დიდის პატივისცემით) იმედია დე-

იმ ვაგონს, სადაც იჯდა, დაეწია და წევა დაუწყო კონდუქტორსა და კონტროლიორს. ამ დროს მოაწყდა კიდევ მეორე ვაგონი № 39, რომლის კონდუქტორი უეცრად მივარდა ყმაწვილს კაცს და ამანაც თავ-პირში დაუწყო უმოწყალოდ ცემა...

ამ საზიზღარს სურათს აუარებელი ხალხი დაესწრო, ავსებით სავსე ვაგონებში ქალებისა და ბავშვების წივილ-კივილი გაისმოდა და ნაცემის ძახილი.

აი იმის მაგალითი, თუ რამდენად თავ-აღებულნი არიან ცხენის რკინის გზის მოსამსახურენი. იმაზედ უფრო ადვილი რა არის, რომ თუ წესის დამრღვეველი ვინმე გამოჩნდება ვაგონში, პოლიციელს დაუძახონ და გადასცენ. მაგრამ არა, ხელები ექავებათ და ხელის მოსაფხანად გაფაციცებით დაეძებენ ამისთანა შემთხვევას, რომ გული მოიღბონ. ამას შემდეგ ვინ-ღაა იმის თავ-მდები, რომ სხებსაც არ შეემთხვევა ამისთანა ამბავი?..

*** დღეს „პუშკინის ბაღში“ საოპერეტო დასი ბ-ნის ნ. ბიაზის საბენეფისოდ წარმოადგენს ახალს ოპერეტს „მადამ ბონიფასს“, რომელშიაც ქალბატონი ლასსალიც იღებს მონაწილეობას.

*** სახელმწიფო რკინის გზების დროებითი მმართველობა ყველა სახელმწიფო გზის მმართველობას მომავალ წლის იანვრიდამ იმის ანგარიშსა სთხოვს, თუ ვის რამდენი უფასო და ფას-დაკლებული ბილეთი ეძლევა რკინის გზის მმართველობისაგანაო.

*** რკინის გზის სადგურ „ვარვარინოს“ (ქვიშხეთი) მე-170 ვერსზე საქონლის მატარებლის ქვეშ ჩავარდა ვილაც ურია, მატარებელმა ზედ გადაუარა და გადასჭრა შუაზე. ეს ებრაელი მორდოხ ფიჩხაძე აღმოჩნდა.

*** რკინის გზის სადგურ ტყიბულიდგან თითქმის დღე ყოველ საჩივარი მოგვდის, რომ ნომრები „ივერიისა“ დროზედ არ მოგვდის, ერთს რომ მივიღებთ, მეორე და მესამე ალარსადა სჩანსო. რედაქცია ყოველთვის წესიერად ჰგზავნის და, საკვირველია, რა გველ-ვეშაპი უხვდება ამ სადგურთან გაზეთს, რომ ხელის მომწერლებს ხან დროზე და ხან სულ არ მისდით?!.

*** სომხურ ჟურნ. „მურჰჳ“-ის ამ თთვის წიგნში დაბეჭდილია შვიდი ლექსი რუსთ პოეტის ლერმონტოვისა, სომხურს ენაზედ ნათარგმნი. მეორე სომხური ჟურნალი „თარაზ“-ი ტურგენევის ნაწერებს ჰბეჭდავს.

*** სომხური გაზეთი „ნორ-დარ“-ი იუწყება, რომ ბაქოს მდიდარი თათარი ჰაჯი-ზეინალ-აბდინ-ტაგიევი აპირებს თავისის ხარჯით სამეურნეო სასწავლებლის გამართვას სოფ. მარდაკიანში, რომელიც ბაქოდამ 30 ვერსის მანძილზე მდებარეობსო. ბ-ნს ტაგიევს 20 დღიური მიწა შეუწირავს ამ დასაარსებელ სასწავლებლისათვის და ამ შემოდგომას შენობის აგებასაც დაიწყებსო. ამ საქმისათვის ბ-ნს ტაგიევს ოთხი ათას თუმნამდე ფული გადაუდვია.

*** სოხუმი: აქაურს მცხოვრებლებს ჯერ არ ახსოვთ, რომ ასეთი კარგი სიმინდის მოსავალი ყოფილიყოს. დრო-გამოშვებით წვიმებმა და გულიანად მუშაობამ მართლა დიდი სარგებლობა მოუტანა აფხაზებს და მეგრელებს. იმედი აქვთ, რომ ერთმა დღიურმა მიწამ ასი ფუთი სიმინდი გამოიღოს სამ-სამ და ოთხ-ოთხ ტაროდ. სოფლებში ყურძნის მოსავალსაც კარგს ამბობენ, მაგრამ თითონ სოხუმში, სადაც-კი იყო ყურძენი, ყველგან გააოხრეს დღისით კრაზანებმა და ღამით ტურებმა.

*** 18 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, იარმუკაში მათუზოვის დუქანში ჩამოკიდებულის ლამპისაგან სახლის ჭერს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. ცეცხლი შინაურებმა ჩააქრეს.

*** ამავე დღეს ინჟენერმა თედორ ნაელმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ საღამოს ექვსის ნახევარზე აგურის ქუჩაზე სახლის ღია ფანჯრიდგან მომპარეს: საათი თავის ძეწკვით, ათი მანეთი ფულად და რკინის გზის ბილეთიო.

*** 18 ამ თთვისას განჯის მცხოვრებელი ალი-ზაგრაბ-ოღლი ამირ-მუსსა-ოღლის წაეჩხუბა და ბებუთით დასჭრა. დაჭრილს ძმა წაეშველა, ზაგრაბ-ოღლის რევოლვერი ესროლა და თავში დასჭრა.

*** 17 აგვისტოს ისმაილ-ალი-ოღლის, ქერბალაი-ყაზიმ-ოღლის, იბრაჰიმ-ალი-ოღლისა და აბას-ტაგი-ოღლის მუშტაიდში შენობაზე მუშაობის დროს ხარიხა ჩამოუვარდათ და ოთხის საჟენის სიმაღლიდგან გადმოვარდნენ. ამათგან ორი მძიმედ დაშავდა და სამკურნალოში გაჰგზავნეს. ხარიხების ცუდად გადების გამო მოიჯარადრე ალავერდი ზაიკროშევი პასუხის გებაში მისცეს.

*** ამავე დღეს რიყეზე ალექსი არინინის ოთხის წლის ვაჟი უცაბედად სახლის აივნიდგან მტკვარში გადავარდა. ბავშვი მსუბუქად დაშავდა.

*** ამავე დღეს, ღამის 10 საათზე, ახალ-ჰოლანდიაში პოლიციელის ხელაევის სახლთან იპოვნეს მიგდებული ბავშვი. ბავშვს ბარათი აღმოაჩნდა, რომელშიაც ეწერა: „დავიბადე 17 აგვისტოს და ჯერ მოუნათლავი ვარ. სახელად მქვიან იპოლიტ“. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

—

შეცდომის გასწორება: წარსულს №-ის „ახალს ამბებში“ შეცდომით გვქონდა გამოცხადებული, რომ განსვენებულ იოსებ დავითაშვილის ფონდი იყო 172 მან. 10 კაპ. და ეხლა შესდგა 175 მან. 10 კაპ. წინად იყო 162 მან. 10 კაპ., ხოლო ეხლა 165 მან. 10 კაპ. შესდგა.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

—

შეულო თავისს კერძობას ამან სცა
აზრის მახვილი,
„მრწამსი კუჰისა“ ამხილა და მისი
ნაკოდ-ნაბრძვილი;
წრფელის გრძნობითა გამოსთქვა ლექ-
სი ძმობისა ნამდვილი,
იწვია მწყობრი წინ-მსვლელთა: თან
ბანი, თან მოზახილი.
შეხდაფეხ მისდევს ვარსკვლავსა, ცოდნის სინათლის მკრთომელსა,
ახალი აღთქმის მნიშნებსა, გამოხსნის
მახარობელსა,
რიჟრაჟსა განათლებისას, უმეცრების-
სა მქრობელსა;
იცის, რომ შვება და შველა მოაქვს
ამათსა მცნობელსა,
ძალსა და ღონეს უერთებს თვით
მადლსა, მისსა მკობელსა,
მებრძვის ბნელსა და სიავეს, ეტრფის
ქვეყანას მშობელსა.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოხუმი.** ჩვენს საბრალო ქალაქს ამიერიდგან კარგი ფერი უნდა დაედოს. ეს გარემოება უნდა მივაწეროთ დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს, რომელმაც წარსულს ივლისის თთვეში გაახედნიერა სოხუმი რამდენისამე დღით აქ ყოფნითა და იყიდა სამოცი ათას მანეთად თითქმის მთელს კავკასიაში შესანიშნავი გენერალ ვედენსკის საბოტანიკო ბაღი. ამ დღეებში კიდეც ჩამოვიდა გამგებელი დიდის მთავრის მამულებისა ზემოხსენებულის ბაღის ჩასაბარებლად. თუმცა ალექსანდრე მიხეილის ძეს მრავალი ალაგი მოუვლია და ბევრი შესანიშნავი ბაღი უნახავს, მაგრამ არსად არ უფიქრია საბოტანიკო ბაღის მოპოება. მაშასადამე, აშკარაა, სოხუმის საუცხოო მდებარეობამ და მისმა ტურფა და კეკლუცმა ბუნებამ შეასყიდვინა ეს მამული. რადგანაც ალექსანდრე მიხეილის ძეს კარგად შეუსწავლია თითქმის ყველა მცენარის ცხოვრება და გარდა ამისა დიდი მოყვარული ყოფილა ნადირობისა, ამისათვის იმედია, რომ სოხუმისა და მთელის აფხაზეთის მდიდარი ბუნება მხიარულად გაატარებინებს დროს. და ნამდვილის წყაროდგან შეტყობილი გვაქვს, რომ დიდი მთავარი 13, ან 15 ეკენისთვეში მობრძანდება სანადიროდ ჩვენში და წარჩინებულნი მონადირენი დიდად ემზადებიან, რომ სასურველს სტუმარს მართლა კარგი ნადირობა აჩვენონ.

წარსულს კვირას აქა ბრძანდებოდა წევრი სამეცნიერო კომიტეტისა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ბ-ნი ანოპოვი სოხუმის ორ-კლასიან სასწავლებლისა და აგრეთვე საზოგადოდ აქაურის ადგილის დასათვალიერებლად და იმის ცნობების შესაკრებად, რომ სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებლის დაარსება საჭიროა, თუ არა. სოხუმისა და აფხაზეთის მდიდარმა ბუნებამ დიდად გააოცა ბ-ნი ანოპოვი და აქაურს საზოგადოებას დაჰპირდა, რომ უთუოდ ვეცდები, ამ მოკლე ხანში დააარსონ აქ ზემოხსენებული სასწავლებლიო.

მოქალაქეები და დეპუტატები დიდს შრომაში არიან, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოსპონ სამუდამოდ ის ჭაობიანი ადგილები, რომელიც სოხუმს ახლოა და დიდად ავრცელებს ციებ-ცხელებას მცხოვრებთა შორის. საკვირველი ის არის, რომ ფოთის უსარგებლო და უვარგისს პორტისათვის მმართებლობა აგერ ოცს მილიონამდე ფულსა ჰკარგავს და საბრალო სოხუმისათვის-კი ერთს გროშსაც არ იმეტებენ.

სახარების სიტყვები: „ვისაც ჰქონდეს მიეცეს და მიემატოს და, ვისაც არა, რაც ჰქონდეს, ისიც წაერთვას“, სწორედ მართლდება სოხუმის შესახებ. უმაღლესის მთავრობის გადაწყვეტილობითა, 18 მარტს ამა 1891 წლისას, ქუთაისის გუბერნიას დაადეს გადასახადად უძრავის მამულისა ყოველ წლივ, სამი წლის ვადით 20416 მანეთი და 18 კაპეიკი. ეს გადასახადი სიმართლიანად უნდა განესაზღვრათ, მაგრამ ქუთაისის გუბერნიის მმართებლობამ სხვა თვალით შეჰხედა ჩვენს სოხუმს და ქუთაისის შემდეგ სოხუმს მიეცა უპირატესობა. წარმოიდგინეთ, რომ ფოთში ერთი ხუთად მეტია მცხოვრები სოხუმზედ და სოხუმელები თავისის ქონებით ვერ

---

და თქვენი მაინც გარდაიცვლებოდა...

არშაკა. ვა, დედას რა მოჰკლავს. Она здаровъ, какъ каровъ!..

გიქუა (საყვედურის ხმით) მაშ ისიც ცოცხალია!.. ეგ-კი ვერაფერი ამბავია, თქვენმა მზემ!.. აბა რა უნდა გაიგოს კაცმა! (ლეოს) მამათქვენილა?

ლეო (ადგება და წელში გაიშლება) ჩემსავით, მამაჩემიც თუში გახლავთ!..

გიქუა. (ნასიამოვნები) მართლა, თუში!.. ეგ-კი დამავიწყდა. ძალიან კარგი!.. კმარა, სრულებითა კმარა... ის თუშია!.. დაბძანდით, გეთაყვა, ნუღა ირჯებით!.. თუში!.. (არშაკას) ჰო, რადგან თქვენ ისეთი ბედნიერი ჰყოფილხართ, რომ ჯერ არც მამა მოგკდომიათ, არც დედა, მაშ აბა ერთი მიბძანეთ... მიამბეთ რამ... ხომ იცით, ყველა კაცს თავისი მწყერი ჰყავს თავში, ზოგს მთელი ჯოგიცა ჰყავს მწყრებისა და პეპელებისა... უკაცრაოთ, მე პირში ლაპარაკი ვიცი... აბა, ერთი შეგვატყობინეთ, მამა თქვენს, რა ხასიათის მწყრები უსხედს ან რა დროს დააფრენს ხოლმე... აქ დამალული არა უნდა იყოს-რა... სიმართლე ყველაზე წინ!..

არშაკა. მამა ჩემი?.. მამა ჩემს მწყრებმა სულაც არა ჰყავს. ჩემი მამა ზარაფია. იმან განჯისკენ მუშაობს. ხანდახან მოდის ქალაქში, დაგვხედავს ხოლმე, რაღა... დედაჩემი-კი სულ ქალაქშია, ჩემთან... ჩვენსა ერთმა ინტედატმა დაიარება... კაი ჭკვიანი კაცია... არც პეპელებთანა და არც მწყრებთან იმან საქმე არა აქვს... იმან უფრო ხშირათ იყო ჩვენსა, კანც მამა ჩემი... პატარა რო ვიყავ, მეგონა, სწორეთ ინტედატია მამა ჩემი-მეთქი...

გიქუა. ჰო, შენს პირს შაქარი! ეგ კაი ამბავია... მერე, მერე!..

არშაკა. თურმე როცა მე გავჩენილვარ, ინტედატი ამიყვანა ხელში, მერე აკვანში ჩამაწვინა და მერე რო ვტიროდი, იმანაც ტიროდა... ძალიან კაი კაცი იყო!..

გიქუა. დამაცა... დამაცა, გეთაყვა!... ეგ ინტენდატი ჯანმრთელი კაცი იყო თუ.

არშაკა. ძალიამ ჯანმრთელი მაშ... მამა ჩემი-კი...

გიქუა. ეხლა მამა თქვენზე ლაპარაკი სრულებით აღარ არის საჭირო. ისევ მაგ ინტენდანტზე ვიმუსაიფოთ. ხომ კაი მოსული და სალი კაცი იყო?...

არშაკა. ისეთი სალი და ღონიერი, როგორც კამბეჩი, რაღა!...

გიქუა. მაშ არც ქარები, არც სიპლექე იმას არა სჭირდა, ჰა?..

არშაკა. Нычего нятъ!...

გიქუა. (დიდის პატივის ცემით) ეგ ინტენდატი რომელ სენითა ბძანდებოდა ავათ და რისგან გარდაიცვალა?

არშაკა. ვა, იმან არ მომკვდარა!.. ჩემზე ჯანიანია!...

გიქუა. (განაწყენებული) ვა, ეგ რა ამბავია! თქვენს ოჯახში ყველანი უკვდავები ყოფილან, რაღა!..

არშაკა. ინტედატი რა ჩვენი ოჯახია! კარგი ნაცნობია ჩვენი.

გიქუა. ჰო, რასაკვირველია... მაგრამ ეხლა ყველაფერი ნათელია. (სამნივ წამოდგებიან) ყმაწვილო კაცებო!.. აი ჩემი მართალი სიტყვა: ჯერ თქვენ ორნივ ერთნაირათ მამწონხართ და არ ვიცი, თქვენგანი რომელი ვამჯობინო... მაგრამ მე მოვალე ვარ, ერთი... მე უნდა ერთი გარემოებაც შეგატყობინოთ... ისეთი გარემოებაა, რომ უიმისოთ ვერც ერთს თქვენგანს ვერ ვეტყვი-ჩემი სიძე ხარ-მეთქი. აი რაშია საქმე... მე საშინლათ მოწადინებული ვარ, რომ ჩემს შვილს უთუოდ ბევრი შვილები გაუჩნდნენ.

არშაკა. მეც ძლიერ მოწადინებული ვარ!...

ლეო. სწორე მოგახსენოთ, ჩემი სურვილიც ეგ არის!...

გიქუა. ჰაი, გიშველათ ღმერთმა! ეგ კარგი ამბავია. მაგრამ ძნელი აი რა არის აქა—თქმით ჩვენ ყველაფერში ყოჩაღები ვართ და როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ-კი უკან დავიწევთ ხოლმე. ჩვენი სიტყვაც გვავიწყდება და მოვალეობაც. ვაი თუ ქორწილ შემდეგ დაივიწყოთ თქვენი მოვალეობა!...

არშაკა. არ დავივიწყებ და კარგათაც შევასრულებ!...

ლეო. მე სიტყვას გაძლევთ, რომ შევასრულებ.

გიქუა. არა, ყმაწვილებო, უკაცრაოთ, მე მაგრე ვერ დავიჭერ საქმეს. მე საქმის კაცი ვარ და ცარიელი სიტყვებისა არა მწამს-რა. ყოველ საქმეს მე ისე ფთხილად დავიჭერ ხოლმე, რომ ბოლოს არ ვინანო... ქალის გათხოვებაშიც მაგრე მინდა მოვიქცე... ხომ იცით, რომ ჩემს ქალს ვაძლევ ქრთამათ ხუთი ათას თუმანს...

არშაკა. ვა, ეგ ვინ არ იცის!

ლეო. ეგ ყველას გაგონილი გვაქვს.

გიქუა. მაგრამ, რომ ქორწილის შემდეგ თქვენ არ დაგავიწყდეთ თქვენი დაპირება და მოვალეობა, რომ გული არ აიცრუვოთ შვილიერებაზე, მე ასე ვაპირობ: ორი ათას ხუთას თუმანს მივცემ ამ თავითვე, ხოლო დანარჩენს-კი თითო შვილის გაჩენაში ჩემგან ხუთას-ხუთას თუმანს მიიღებს ჩემი ქალი.

არშაკა. ჰო, ეგ პრემიასავით იქნება, რაღა!...

ლეო. ესე იგი, თუ გვინდა, რომ დანარჩენი ორი-ათას-ხუთასი თუმანიც მივიღოთ, უნდა ხუთი შვილი გავაჩინოთ, არა?

გიქუა. დიახ, დიახ, სწორეთ ეგ არის ჩემი აზრი!

ლეო. როგორა გნებავთ, სულ ვაჟები უნდა იყვნენ ხუთნივე, თუ შეიძლება, რომ ზოგი ქალიც გამოერიოს?

გიქუა. ეგ თქვენს უნარზე ჰკიდია. რასაკვირველია, ვაჟები უფრო ემჯობინებოდა, მაგრამ ქალსაც არაუშავსრა. სულ ერთია, ოღონდა ხუთი-კი იყოს.

ლეო. პირობა საუცხოვოა და არც შესრულებისა მეშინიან!

არშაკა. მეექვსე შვილი რო გაგვიჩნდეს, იმაში რამდენსღა იძლევით?

გიქუა. იმაში არაფერს! მეექვსე შვილს ვაჟკაცობაში ჩაგითვლით.

არშაკა. Ми сагласни.

გიქუა. (ლეოს) თქვენ რაღას იტყვით?

ლეო. მე სრულებით თანახმა ვარ.

გიქუა. იფ! თქვენმა მზემ, კარგია!..

შეედრებიან ფოთელებს. მაშასადამე, გარდასახადი ფული უძრავის მამულების მეტი უნდა შეხვედროდა ფოთის ქალაქს. თითქმის ქალაქი ოზურგეთიც არ დაუვარდება სიმდიდრით სოხუმს, მაგრამ სოხუმელებისგან ყოველ წლივ თხოულობენ 1752 მანეთსა და 43 კაპ. ფოთელებისგან-კი 1461 მანეთსა და 60 კაპ. ოზურგეთლებს სულ მცირე გარდასახადი დაედოთ— 501 მანეთი და 32 კაპეიკი.

კ. მაჭავარიანი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მართალია, ნათქვამია, არა მარტო პურითა არსებობს ადამიანიო, მაგრამ უჭმელი-კი დიდხანს რომ ვერ გაატანს, ამასაც დიდი დამტკიცება არა სჭირია. საჭმელ-საკვები ყოველ დღიური საზრუნია ადამიანისათვის და უმეტესობა თუ ჰშრომობს და ჯაფას ეწევა, მხოლოდ იმიტომ-რომ ლუკმა-პური მოიპოვოს. საჭმელს საჭმლის მომზადებელიც უნდა და მოსამსახურისთანა სახათაბალო ხომ არა არის-რა. ჩვენს კავკასიაში თითქმის ყოველ დღე უჩივიან მოსამსახურის უვარგისობას, მაგრამ რას იზამს ადამიანი, როცა უმზარეულოდ გაძლება მეტად ძნელია. ასეთი საჩივარი ისმის რუსეთშიაც, მაგრამ დღევანდლამდე ამ საქმეს ვერა მოეხერხა-რა. რუსეთი რა, როცა ამერიკის შეერთებულს შტატებშიაც იგივე სამდურავ-საჩივარი ყოფილა. ჟურ. „Сѣверный Вѣстникъ"-ის აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია წერილი ქ-ნ მაკ-გაჭანისა ამ საგნის შესახებ. ქ-ნი მაკ-გაჭანი სწერს, რომ ამერიკელს მოსამსახურეებს სრულიად არაფრის კეთება არ შეუძლიანთ და მეტად თავ-ხედნიც არიან, ერთს ადგილას არა ბინავდებიან, დღეს ერთთან არიან, ხვალ—მეორესთან და იმათი ძებნა თავ-სატეხია. მაგრამ ამერიკელები ასეთს საქმის მოუწყობლობას ისე ადვილად არ აიტანენ და ყოველთვის ეცდებიან ხოლმე თავი დააღწიონ გაჭირებას. მეუსწავლიათ კიდეც საგანი და სტატისტიკურ ცნობების შემწეობით შემდეგი დასკვნა დაუსკვნიათ:

ცხრა მეათედი ამერიკის ქალის ავადლებულია ნახევარი თავისის მოგებისა მარტო სანოვაგის ყიდვას მოახდომის. საკვირველი ამბავია, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ, ქამების სიმრავლე, ამერიკაში დიდ-ძალი ხალხი სიმშილით ისოცება, რადგან გონიერად ვერ არჩევს საჭმელს.

ამერიკელების ანგარიშით, თითოეული ადამიანი საჭმელზედ, რაც უნდა ფერად-ფერადი სჭამოს, კვირაში ორსა და, ძალიან ბევრი, ოთხს მანეთზედ მეტს არ უნდა ჰხარჯავდეს.

ვინც სანოვაგის შესამენად კაცის თავზედ ოთხ მანეთზედ მეტსა ჰხარჯავს კვირაში, ის ან ფულსა და სანოვაგეს ქუჩაში ჰყრის და ან მეტისმეტად ანებივრებს სტომაქს, იმაზედ მეტსა ჰხარჯავს, რაც ადამიანისათვის საკმარისია.

ამას შემდეგ ამერიკელებმა გადასწყვიტეს, რომ აწინდელი საჭმელების მოსახარში თუნუქის ქურა არ ვარგა, დიდი ხარჯი სჭირდება და დროც დიდი იკარგებაო, ძებნა დაუწყეს ისეთს ქურას, რომელიც ამ მხრივ უფრო უკეთესად იქნება მოწყობილი და ზემოხსენებული ნაკლიც არ ექნებაო. ვიღაც ატკინსონს კარგად მოუგვარებია ეს საქმე. მაკ-გაჭანს თუ ვერწმუნეთ, ამ კაცის ქურა სწორედ საკვირველი ქურაა თურმე და რაც უნდა უვარგისი ხორცი იყოს, ისეთს გემრიელს საჭმელს აკეთებს, რომ თითებს ჩაიკვნეტს თურმე ადამიანი. ამ ქურის გახურებას სულ ½ კაპ. სჭირდება და დროც მეტად მცირე უნდა საჭმლის მოხარშვას.

საჭმლის მომზადებისათვის მხოლოდ ის არის საჭირო, რომ მწვანილეული გაარჩეს, ყოველივე სანოვაგე გაასწორლდეს და ქურაში შედგას ისეთს დროს, რომ სწორედ სადილობისათვის მომზადდეს.

როცა მზარეული ქურაში საჭმელს შესდგამს, შემდეგ შეუძლიან, რაც საქმე უნდა, ის გააკეთოს, და, თუ უნდა, სხვაგანაც წავიდეს. როცა დანიშნული ვადა გაივლის, ეს იმაზედ დამოკიდებული, როგორს სითბოს მისცემს ქურას, უნდა დაბრუნდეს და სადილი მზა-მზარეულად დახვდება.

ამ „ალადინის ქურად" წოდებულს მანქანას დიდი გასავალი ექნება ამ თვისებათა წყალობით. ადვილად შესაძლებელია, რომ თუ ასეთი წესი საჭმელების მომზადებისა შემოღებულ იქმნა, მერმისში ახალის ხელობის მზარეულები გაჩნდნენ: მოვა, მაგალითებრ, რამდენსამე სახლში მზარეული, საჭმელს შესდგამს და ახლა სხვა სახლებს მოივლის იმავე საქმისათვის. ქურა სასადილო ოთახში იქნება დადგმული. სადილობის დროს შეიყრება მთელი ოჯახი, რიგ-რიგათ გამოიღებენ საჭმელს და ჭურჭელს იქვე ქურიდამ მისდგამენ, არც მოსამსახურე დასჭირდებათ და არც მზარეული.

ატკინსონი ყველას არჩენებს საცდელად თავისს „ალადინის" ქურას, სადილად ეპატიჟება ხალხს და ეს სადილებიც მეტად იაფად უჯდება და ადვილადაც აკეთებს. მაკ-გაჭანს აწერილი აქვს ატკინსონის ერთი სადილი, რომელზედაც 70 წევრი დასწრებია კლუბისა.

ჯასმი სამს „ალადინის ქურაში" მზადდებოდა. ყველაზედ დიდი ქურა სამის [illegible] ლამპარით თბებოდა, დანარჩენი ორი-კი—თითო ლამპრით. ქურების გასახურებლად სულ $36^3/_5$ გირ. ნავთი დაიხარჯა. საჭმელი რომ გემრიელი იყო, ეს იმითაც მტკიცდება, რომ ერთი ლუკმაც არა დაუტოვებიათ-რა. ჯასმად მოიტანეს: ნადირის შემწვარი ხორცი — 30 გირ. მეტი, თორმეტი ტყის ქათამი, ერთი 11 გირ. თევზი, მეორე 9 გირ. თევზი, ოქსმეტი ლანგარი შემწვარი ლოკოკინა, რვა ლანგარი ზღვის კიბო, რვა გირ. ძეხვი, შემწვარი კაშლები, ორი ლორად გაკეთებული ღორის ფეხი, ტკბილეული და სხ. სულ 120 ფუთი სანოვაგე იყო. ეს ამოდენა საჭმელი ატკინსონის ქურით მზარეულმა დედაკაცმა გააკეთა, არავის მოუშველებია, თუმცა სამზარეულოში დიდძალი ცნობის-მოყვარე ხალხი ირეოდა.

თუ ეს ქურა გამოდგა და მართლა მოსამსახურე, მერე ჩვენი ბრიყვი მოსამსახურე, საჭირო აღარ გახდა, მთელმა კაცობრიობამ სწორედ თავისს კეთილისმყოფელად უნდა ჩასთვალოს ატკისონი...

## წვრილი ამბავი

ვენაში აპირობენ ძეგლები აუგონ ორს ავსტრიელს სახალხო პოეტს: რაიმუნდსა და ანცენგრუბერსა. ამ ძეგლების გეგმა უკვე მზად არის და შედგენილია ფოხტისა და შერპეს მიერ.

— ბერლინის ქალაქის საბჭომ შეუკვეთა სურათი პროფესორ ვირხოვისა და ჰსურს, ეს სურათი საუკუნოდ თავის სადგომის დარბაზში იქონიოს ვირხოვის ღვაწლის სახსოვრად.

— ამ დღეებში პარიჟში დაიბეჭდა გამბეტას მიერ თქმული სიტყვანი, მისი სადიპლომატო დეპეშები და სხვა.

— ნიუ-იორკსა და საზოგადოდ შეერთებულ შტატების აღმოსავლეთ ზღვის ნაპირებზე საშინელი სიცხეებია ამ ჟამად. ფარენჰეიტის ტერმომეტრი 97 გრადუსზე სდგას. ბევრს უვარდება სიცხე თავში. 20 წელიწადზე მეტია, რაც აგვისტოში ამ გვარს სიცხეებს არავინ მოსწრებია შეერთებულს შტატებში.

— ინგლისის ჯარში მასწავლებელი ქალები ჰყავთ, რომელნიც სკოლებში ჯარის კაცების ქალებს ასწავლიან. ჯამაგირი ამ მასწავლებელს ქალებს წელიწადში 300—500 მანათი ეძლევათ და თანაც სადგომი მუქთი აქვთ. თუ 21 წელიწადი იმსახურა მასწავლებელმა ქალმა, ნება აქვს პენსია ითხოვოს სამუდამოდ.

— ორმა ინგლისელმა ველოსიპედით მოგზაურმა ამ დღეებში ორთვლიანის ველოსიპედით გადაიარეს სნოუდონის სერობა. ეს სერობა ყველაზე უმაღლესი სერობაა ველსის მთებში — სამის ათასის მეტრის სიმაღლეზეა ზღვის პირიდგან ე. ი. ჩვენებურის ანგარიშით 4 ვერსზე მეტს სიმაღლეზე.

— საშინელს საქმეს სჩადის ცივილიზაცია (?). ახლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, გერმანელი ვაჭრები ქისებს თურმე ჰყიდიან კაცის ტყავისაგან მომზადებულსა.

— მილანიდგან იუწყებიან მარიამ რონაირის საშინელის გაბედულობისა და სიმამაცის ამბავს: ამ დღეებში კატელინაბერმიოდგან ათის საათის განმავლობაში ორს უმაღლესს მთას — პასკვალესა და ჩევედლეზე ასულა ე. ი. ხუთის ვერსისა და ხუთ ვერს ნახევრის სიმაღლეზე.

— პარიჟის გაზეთები იხსენიებენ ვიღაც როფერს, რომელიც სურათებსა და ასოებს ამზადებს თურმე საშინელის წვრილის ხელით. როფერმა, ამბობენ პარიჟის გაზეთები, ერთის პურის მარცვალზე 391 ასოს სწერს და მერე ისე კარგა, რომ უსათვალებოდაც ძლიერ ადვილად შეიძლება წაკითხვა.

— ნიუ-იორკის სულით ავადმყოფთა სახლში 17 შეშლილი აჯანყებულა, მოსამსახურეთათვის მძლათი წაურთმევიათ გასაღებები, გაუღიათ კარები და ქალაქში გაფანტულან. ხუთი კაცი ამ გაქცეულთაგანი უკან შეუპყრიათ და უკანვე წაუყვანიათ სამკურნალოში, ხოლო დანარჩენნი-კი, რომელნიც ყველაზე ძლიერ მალაობდნენ თურმე, ჯერ ვერ უპოვნიათ.

## დეპეშა

18 აგვისტო.

**ოდესსა.** შავს პურს ჩვეულებრივი ფასი დაედო.

**სარატოვი.** შავი პური საკმაოდ არის მოტანილი. ფასები აკლდება.

---

ეხლა ყველაფერი მოლაპარაკებული და გათავებული გვაქვს... მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე... თქვენ მე ორივენი სწორეთ ძალიან მომწონხართ და ერთნაირათაც მომწონხართ. ჩემ პირობაზედაც ორნივ ყაბულსა ხართ... თქვენგანი ერთი თუშია და ჯანიანი ახალგაზდა, მეორე—სომხია ყარაბაღელი და ჩემი რჯულის კაცი!.. მეტი რაღა მინდა!.. მაგრამ რა ვქნა, რომ თქვენ ორნი ხართ და მე-კი მარტო ერთი ქალი მყავს!.. აბა ეხლა ვარ დიდ გაჭირვებაში, აი!.. რომელ ერთს მოგათხოვოთ ჩემი ანეტა, არ ვიცი!..

### სცენა XIV

იგინივე და ელისაბედი.

ელისაბედი. (შემორბის მარჯვნით, აღშფოთებული) გიქოჯან, მიშველე, გიქო!

გიქუა. (მიეგებება) რა ამბავია, დედაკაცო? სახლი ხომ არ გვეწვის?

ელისაბედი. რა ამბავია და ისა, რომ ეხლავ მარტოკანი უნდა დავრჩეთ მე და შენ! საქმე მაქვს მე შენთან, ძალიან საჭირო საქმეა!

გიქუა. ვა, ისეთი რა უნდა იყოს! (არშაკსა და ლეოს) გეთაყვა, ნურას უკაცრაოთ... თავი-ღვინის ოთახში გაბრძანდით ცოტა ხანს.

არშაკა. ვაა, ეს ინჩა!... სულ ხომ პადვალში ვერ ვიქნებით!..

გიქუა. (ლეოს მაღათ უდებს ხელში ანთებულს სანთელს) მანამ თქვენ იქ დაათვალიერეთ განჯინები. საუცხოვო სანახავია...

ლეო. აკი წედან გავსინჯე.

გიქუა. უფრო კარგი!... კიდევ გასინჯეთ და თქვენს ამხანაგსაც აჩვენეთ ყველაფერი. აბა, მიბძანდით... (თითქმის ძალათ შეაჭედავს ოთახში).

### სცენა XV

გიქუა და ელისაბედი.

გიქუა. აბა, მითხარი, რა გინდა!

ელისაბედი. გიქოჯან, გენაცვა, მიშველე რამ... დამიხსენ იმ კაცისაგან! შემომდგომია და აღარ მასვენებს... დამიხსენი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი.

გიქუა. რას გაუგიჟებიხარ, ვისაგან უნდა დაგიხსნა, დედაკაცო?!

ელისაბედი. რას ამბობ, ქა?

გიქუა. ჰო, მე სულ მავიწყდება, რომ შენ ყრუ ხარ! (ჩასძახებს ყურში) ვისგან უნდა დაგიხსნა?

ელისაბედი. ვისგანა და აი ის აქციზნია თუ რაღაც ეშმაკი და ქაჯი!...

გიქუა. რა ამბავია, რა დაგიშავა?

ელისაბედი. ის ხომ ბაღში გამომყვა... იქ... ბესედკასთან... ერთბაშათ დამიჩოქა და მოჰყვა ხვეწნასა და ღრეჯას...

გიქუა. რეებსა ჰბოდავ, დედაკაცო! რა დაგმართვია! აბა, შენმა შემაყურალმა როგორ უნდა დაიჯეროს ეგ სიტყვები!...

ელისაბედი. მე, გიქოჯან, დედაკაცი ვარ... სუსტი ქმნილება... კაცი ვის არ შეაცდენს!... როგორ შეიძლება მაგისთანები... ამოდენა დედაკაცი შევსრულდი და ჩემს დღეში არ გამომიცდია ისეთი მღელვარება, შენთანაც-კი არ გამომიცდია, გესმის, გიქო...

გიქუა. ეს რაღაა!... ერი ჰა!... ქმარს მაგეთ სიტყვებს არ ეუბნებიან, ქალბატონო!... მერე შენდროული დედაკაცი... მე-კი მეგონა, მაგ მხრივ საშიში არა მაქვს-რა-მეთქი.

ელისაბედი. ეს-კი იცოდე, გიქოჯან, რომ თავი მაგრა შევინახე და შენთვის არ მიღალატნია...

გიქუა. ეგლა გაკლდა, რომ კიდეც გეღალატნა!.. მაგრამ ვერ უყურებთ იმ უსირცხვილოს, რეები ჩაუდენია!.. არა, როგორ გაბედა იმ სალახანამ!.. ჰო, ესეც-კია, თუ შენ საბუთი არა მიეცირა; თუ კაკლუცობა არ დაუწყე, ან თვალი არ უყავი...

ელისაბედი. რას ამბობ?

გიქუა.. (ყურში ჩასძახებს) თუ თვალი არ უყავ!.. (თავის ხმით) იმიტომ რომ, თუ დედაკაცს თავი მართებულათ უჭირავს...

ელისაბედი. ჰა?..

გიქუა. აი ჯოჯოხეთი თუ გინდათ, ეს არის!.. მოდი და ყრუ დედაკაცს ელაპარაკე ამისთანა საქმეებზე!.. მართლა, რატომ დამავიწყდა ჩემი მოტანილი საჩუქარი!.. ახლა მინდოდა სუფრაზე მომეტანინებინა... მაგრამ არა უშავს-რა (ამოიღებს ახალუხის ჯიბიდამ ყურების რაყოს) აბა, ქალბატონო, წმინდათ ამოფქვი ყველაფერი, თორემ!.

ელისაბედი. (რევოლვერი ჰგონია) ღვთისმშობლის მადლმა, მე უმანკო ვარ, გიქოჯან! ნუ მომკლავ მართალ დედაკაცს!..

გიქუა. უმანკო, შენმა მზემ!.. შენ მე ვერ მამატყუებ, უკაცრაოთ!..

ელისაბედი. (იწყებს) არა სჯერა ამ უსირცხვილოს!.. ქა, ქა!.. ქრისტიანებო!..

გიქუა. მაგდროული დედაკაცი ხარ!.. (რაყოს დაადებს ყურზე) ქმარშვილის პატრონი!.. გცხვენოდეს, ქალბატონო, გცხვენოდეს!..

ელისაბედი. შენ ჰკვა სადა გაქვ! დანაშაული რომა მქონდეს, ერთი იფიქრე კარგა, მოვიდოდი განა და მევე დაგიწყებდი მაგაზედ ლაპარაკს!.. ძალიან დიდი უსინიდისო ჰყოფილხარ შენა, რომ ემაგრე ეჭვიანობ!..

გიქუა. უსინიდისოვო?!.. გარგია, თქვენმა მზემ... (რაყოში) მევე გამოვდივარ უსინიდისო!.. თუ მე უსინიდისო ვარ, მაშ შენ კიდევ მოარშიყე, ქუჩის ქალი ჰყოფილხარ! გაიგონე თუ არა?

ელისაბედი. მოარშიყეო?!. ქუჩის ქალიო?!. (წაართმევს რაყოსა და ჩასძახებს ყურში) შენ დიდი ბრიყვი ვინმე ჰგდებულხარ და მეკი არ ვიცოდი!..

გიქუა (რაყოსაცილებს) მეც ხომ ყრუ არა ვარ!.. ისეც მესმის!..

ელისაბედი. (რაყოთი ჩასძახის ყურში) განა ცოლს მაგრე უზდელათ ეკიდებიან?..

გიქუა. (რაყოს მიაბრუნებს ელისაბედის ყურისკენ და ჩასძახის) კარგა მარტო კარგ ცოლებს ეკიდებიან, განა შენისთანა მოღალატეებსა-რა!..

ელისაბედი. (რაყოთი ჩასძახის) მაშ კარგი!.. რაკა მაგრეა, ეხლავ დედასთან წავალ!..

გიქუა. (რაყოს მიუბრუნებს ყურთან) ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს. ოღონდ შენ თავიდამ მომშორდი და ფაიტონის ფულსაც მე დავხარჯავ!..

ელისაბედი. (დაინახავს მომავალ ივანოვს) ახ!.. აგერ ისიც აქ მოდის ისევ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვრიას ფასი ძლიერ ემატება—დღეს ფუთი 80—90 კ. გაიყიდა.

**ვალპარაისო.** აჯანყებულთა ჯარები მანლიხერის სისტემის თოფებით არის შეიარაღებული, და პატრონებიც უკვამლო თოფის წამლითა აქვთ მომზადებული. ამ თოფებს პირველად ამ ომში ხმარობენ. ტყვია პირველს წყების კაცებსა ჰხვრეტდა და მეორე წყების ხალხსა ხოცავდა. ოფიციალური დეპეშები იუწყებიან, რომ ვალპარაისო დამორჩილდაო. ორსავე მხარეს დიდი ზარალი მოსვლია. ქალაქს წესის დასაცავად დიდ სახელმწიფოთა ადმირალები იფარავენ.

**ბერლინი.** შევიდა თუ არა ძალაში აღკრძალვა რუსეთიდგან შავის პურის გაზიდვისა, უფრო და უფრო ბლომა-ბლომად აძლევენ თხოვნებს, პურის გარდასახადი მოსპეთო. ხვალ ყრილობა მოხდება სხვა-და-სხვა ხელობის კაცთა რამდენისამე სოციალისტის თანადასწრებით, რომ მთავრობას თხოვნა მიართვან შესახებ იმისა, რომ სალეველი გაძვირდა. ამ ბოლო დროს რომ ხმები გავრცელდა, კაპრივის ადგილას გრ. ვალდერზეს აძლევენო, ჯერ-ჯერობით უსაფუძვლოა.

19 აგვისტო

**პეტერბურგი.** „Бирж. Вѣд.“ იუწყება, განსაკუთრებულს კომისიას აარსებენ ყველა სათანადო უწყებისა და დაწესებულების წარმომადგენელთაგან, რომ გამოიკვლიონ და შეიმუშაონ რუსეთის სავაჭრო ნაოსნობის საქმე. კომისიაში მიწვეულნი იქნებიან წარმომადგენელნი სხვა-და-სხვა ადგილობრივ დაწესებულებათა და ბალტიისა, შავისა, აზოვისა და კასპიის ზღვის გემების პატრონები.

**ნიუ-იორკი.** სტეტსვილის მახლობლად, მდ. კატაუბაზე, ჩრდილო კაროლინაში საზარელი უბედურება მოხდა: საათში 45 ვერსის სიჩქარით მიმავალი მატარებელი მივიდა ხიდთან, რომლის დამპალის ხეების გამო რელსები გაწეულიყო; მატარებელი ხიდის მოაჯირზე მდინარეში გადავარდა 13 საჟენის სიმაღლიდგან და თან ვაგონები გადაიყოლა. მოგზაურთაგანი 21 მოკვდა და 29 მძიმედ არის დაშავებული.

**კოპენჰაგენი.** შვეციის მეფე ფრედენსბორგში 1 სექტემბერს მივა და 4, ნაშუადღევს ისევ უკან გაემგზავრება. მეფემ მიიწვია დანიის მეფე და მისი უმაღლესი სტუმრები 5 სექტემბერს კურდღლებზე სანადიროდ კუნძულს ხვეენზე. დაპატიჟებაზე თანხმობა გამოაცხადეს.

**ნიუ-იორკი.** ბალმასედა უკან იწევს სანტიაგოსკენ და ამ ქალაქის კედლებთან უბრძანა ჯარს შეკრება. პრეზიდენტმა, რაც შეიძლება, მეტი ჯარი მოიწვია ჩრდილო და სამხრეთ პროვინციებიდგან, რის გამოც იმას მოკლე ხანში უფრო მეტი ჯარი ეყოლება, ვიდრე კონგრესისტებს.

**ვაშინგტონი.** აქ არა ჰფიქრობენ, რომ ბალმასედა ძლიერ ძლეულიყოს, რადგანაც მთიანი ქვეყანა ხელს უწყობს საგერს ომისათვისო.

**ფიუმე.** აქედგან შუაღამისას გემით დაბრუნდნენ სამშობლოში დალმატიელები. როდესაც ქალაქზე გაიარეს, ძლიერი მანიფესტაციები მოხდა: მაღლა ხმით ყვიროდნენ: „живio“-ს, რომლის პასუხად ვენგრიელები იძახდნენ: „эльенъ“-სა და „далой хорватовъ“-ს. დალმატიელები გემში რომ ჩასხდნენ „далой венгрiю“-ს იძახდნენ. დემონსტრაციები ქალაქში გაჭიანურდა და ჩხუბით დასრულდა, რომლის დროსაც რამდენიმე ხორვატელი სტუდენტი დაიჭრა; 19 კაცი დააპატიმრეს.

**პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 92 | 7, 95 | — ,, |
| ტრამოუნის კუპონები . | 158½ | 159 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 05 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225½ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . . | 212 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

**„ივერიის“ ფოსტა**

უცნობ მეთვალყურეს. რედაქცია «უცნობ მეთვალყურეებისას» ვერაფერს დაჰბეჭდავს.

სად. ტყ—ა. ვ. მ—ას. რედაქცია თავისს დროზედ ჰგზავნის გაზეთს და არ ვიცით, რა მიზეზით არ მოგდით. საზოგადოდ მაგ სადგურიდგან ძალიან უჩივიან გაზეთის დროზედ მიუღებლობას, ასე რომ მიზეზი მანდვე იფარავს თავს.

ქ. ქ—სი. ნ. გ—ას. თქვენი ლექსი „მამია გურიელის შესახებ“, თქვენის თხოვნისამებრ, უკანვე გამოვგზავნეთ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| სიმართლის კიდობანი (გარაზადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| ციკო . . . . . . . | „ | 60 |
| ელისო . . . . . . . | „ | 60 |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავენი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |

**იბეჭდება და გამოვა სექტემბრის დამლევში**

ვალერიან გუნიას-მიერ

შედგენილი და გამოცემული

1892 წლისათვის

**საქართველოს კალენდარი** (დასურათებული მრავალის სურათებით) ფასი ორი აბაზი

**უბის წიგნი 1892 წლისათვის** (მშვენიერის ყდით და ყარანდაშით) ფასი ორი აბაზი

**სახალხო კალენდარი** (ყოველნაირის საჭირო ცნობებით მდაბიო ხალხისათვის) ფასი ორი შაური

„საქართველოს კალენდარში“ დებულობენ დასაბეჭდად ყოველ გვარს განცხადებას. ფასი წიგნის ბოლოში-გვერდი—5 მ. ნახევარ გვერდი—3 მ., მეოთხედი გვერდი—2 მან. წიგნის დასაწყისში გვერდი—12 მ. ნახევარ გვერდი 7 მან.

ვინც კალენდრისათვის მასალის გამოგზავნას ინებებს, შეუძლიან, მიჰმართოს ვალერიან გუნიას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, მანსვეტოვის სტამბას, ანუ წერა-კითხვის წიგნის მაღაზიას. (5—0—5)

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

# ქართული პიესები

თხზულება

**ალალო თუთაევისა.**

ამ იგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:

„**უშნო არშიყი**“, კომედია სამ მოქმედებად.

„**სოფიო**“, ვოდევილი ერთ მოქმედებად.

„**დუქნის ოთახში**“, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში

კავკავში—ი. ტერტეროვთან.

ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.

სიღნაღში—კ. ნადიროვთან.

თელავში—მამა აბელ სუქიანცთან.

გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.

ცხინვალში—ი. მელქუოვთან.

„ თ. კ. მ. ციციანოვთან.

სერამში—ზ. არუწოვთან.

ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ქუთაისს—ძმ. ჭილაძებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.

ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.

ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოთშ—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.

სოხუმში—ან. ჯუღელთან.

ფასი. 30 კაპ.

(15—13)

**ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება**

ხალად შედგენილი ვრცელი

# სამზარეულო

ქართული და ევროპიული საჭმელებისა.

წიგნი შეიცავს 636 გვ. 5—9 ფორმ. შიგ მოთავსებულია 871 სხვა-და-სხვა დარიგება საჭმელების მოსამზადებლად და ხორაგეულის შესანახად. ჩართულია ხაზებით ასო, ასო დაყოფილი ძროხის სურათი.

განყოფილება 1. წვნიანი საჭმელები, 2. სხვა-და-სხვა ნაირი საწებელა, 3. მწვანეულობა, 4. ხორცი ძროხისა, ხბოსი, ცხვრისა, ღორისა, ფრინველისა და სხვ. ცივად, შემწვარი და მოხრაკული, 5. თევზეულობა, 6. კუპატი და პაშტეტები, 7. პუდინგები, 8. ბლინები, კრბო-კვერცხი, ომლეტი, კვერცხები, 8. მაროჟნი, კრემი, ჟელე, ბლომანჟე, მუსკე ფაფა, კომპოტი, 9. ფაფეულობა, ხაჭაპურები, კაფლი და ბურბუშელა, 10. ტორტები, 11. სამარხვო საჭმელები, 12. პური, ბაბა ანუ პასკები, ბულკები, კულიჩები, სუხარი, კრენდელები და სხვ. 13. მურაბები, 14. ღვინო, ნალივკები, ვიშნიაკი, შიპოვკა და სხვ. სასმელები, 15. ძმარი, მდოგვი და სხვ. 16. რძე, ნაღები, მაწონი, კარაქი, კრბო, ყველი და სხვ. 17. ხილეულობის შენახვა, 18. მწვანეულობის შენახვა, 19. მწნილები, 20. ხორცის შენახვა.

**ფასი წიგნისა ექვსი აბაზი**

წიგნები ისყიდება აგრეთვე ქართველთა ამხანაგობის აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე კრქომაშვილი, ბათუმში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტ. ნოდია (წიგნის მაღაზია) ოზურგეთში—კოსტ. თავართქილაძე (წიგნ. მაღაზია) ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნ. მაღაზია) დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, ძირულაში—ილია ჭიჭინაძე, ბაკათუბანში—ანდრ. შავგათავა, ხაშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში—არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია) განჯაში—დიმ. ქლივიძე და იაკ. ნოდია და თელავში—მიხ. ცისკარაშვილი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 16-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.